# ტექნიკური დავალება

## ზუგდიდის ურბანული ლაბორატორიის მუშაობისთვის „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში

1. პროექტი „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“

პროექტი „მდგრადი ურბანული განვითარება საქართველოში“ (SUD) დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ და ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ პოლიტიკურ პარტნიორთან - რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან (MRDI) თანამშრომლობით და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მხარდაჭერით.

პროექტი ხელს უწყობს ურბანულ პროექტებს იყოს ინტეგრირებული და დაფინანსებისთვის მზად - ენერგო ეფექტურობის, მობილობისა, ნარჩენების მართვისა და საჯარო სივრცეების გეგმარების მიმართულებით. ამ მიზნით, პროექტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს შერჩეულ მუნიციპალიტეტებთან, ეროვნულ და რეგიონულ აქტორებთან და რთავს შესაბამის პროფესიულ წრესა და ადგილობრივ თემებს.

პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან ერთად, SUD პროექტი “ურბანული ლაბორატორიების” მიდგომის გამოყენებით აძლიერებს სამოქალაქო სექტორის ჩართულობას კლიმატ-მეგობრული გეგმარებითი გადაწყვეტების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში. ამასთანავე, ის ეხმარება თვითმმართველობებს ინვესტიციების ბიუჯეტირებაში, დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებასა და ინტეგრირებული დაგეგმარების პრაქტიკის დანერგვაში „სამეზობლო განვითარების გეგმების“ (NDPs) საშუალებით.

ურბანული ლაბორატორიების გამოცდილების საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები ეროვნული პოლიტიკისა ან/და პროგრამებისთვის. რეკომენდაციებს შეიმუშავებს ნეიტრალური მხარე - ურბანული ლაბორატორიის სადამკვირვებლო ჯგუფი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან და წარადგენს ურბანული პოლიტიკის ინოვაციების ჯგუფთან (UPIG).

SUD-ის პროექტის მოსალოდნელი 5 შედეგი:

შედეგი 1: ურბანული ლაბორატორიების არსებულ ან ახალ საპროექტო წინადადებებს, დაინტერესებული მოსახლეობის ჩართულობით, დამატებულია ურბანულად ინტეგრირებული კლიმატის ასპექტები.

შედეგი 2: ურბანული ლაბორატორიების არსებული ან ახალი საპროექტო წინადადებებისათვის შესრულებულია საინვესტიციო და ექსპლუატაციის ხარჯების გათვლები.

შედეგი 3: ურბანული ლაბორატორიების ფარგლებში, შემუშავებულია ინტეგრირებული, კლიმატზე ორიენტირებული საუბნო განვითარების გეგმები (NDPs), ამ პროცესში ზეგავლენის ქვეშ მყოფი შესაბამისი მხარეების ჩართულობით.

შედეგი 4: ურბანულ ლაბორატორიებზე დაკვირვების საფუძველზე, ურბანული პოლიტიკის ინოვაციების ჯგუფმა (UPIG) მოამზადა წინადადებები კანონმდებლობაში, ურბანული განვითარების ეროვნულ პროგრამებსა ან დაფინანსების ინსტრუმენტებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

შედეგი 5: „ურბანული ინოვატორების ქსელის“ ფარგლებში, ჩამოყალიბებულია ქართველ ექსპერტთა შორის მოსაზრებების რეგულარულად გაცვლის მექანიზმი ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა კლიმატზე ორიენტირებული, ინტეგრირებული და მონაწილეობაზე დაფუძნებული ურბანული განვითარება.

ამ შედეგთა ერთობლიობა ემსახურება პროექტის საბოლოო მიზანს:

"საქართველოს მუნიციპალიტეტებმა, ცენტრალურ მთავრობასთან თანამშრომლობით, შეიმუშავეს თანამონაწილეობითი, კლიმატზე ორიენტირებული და ურბანულად ინტეგრირებული საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მზად არის დაფინანსებისთვის."

## 2. ძირითადი დებულებები

ურბანული ლაბორატორია არის საერთაშორისოდ აღიარებული გეგმარებითი ინსტრუმენტი, რომელიც ძირითად მეთოდებს - ექსპერიმენტს, თანამონაწილეობას, ადგილზე დაფუძნებულ გეგმარებით მიდგომასა და სწავლას - იყენებს

ურბანული ექსპერიმენტი არის, როდესაც ქალაქმგეგმარებლები, პოლიტიკის შემმუშავებლები და/ან მკვლევრები შეიტანენ ფრთხილ ცვლილებებს არეალებზე (სამეზობლო) ან პროცესებში (ადმინისტრაციული ინსტრუმენტები, სამართლებრივი ჩარჩო), რომ დააკვირდნენ ცვლილების ეფექტს - ადამიანების/ინსტიტუციების ქცევას რეალურ სიტუაციებში - რამდენად ეფექტურია კონკრეტული ქმედებები/ინსტრუმენტები მოცემულ კონტექსტში.

მრავალდონიანი მხარეთა თანამშრომლობა უზრუნველყოფილია ურბანულ სამუშაო ჯგუფში მუნიციპალური მუშაკების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სფეროს ექსპერტების, ბიზნესისა და დაინტერესებულ მოქალაქეთა ჩართვით.

**ადგილზე დაფუძნებული მიდგომა** გულისხმობს ადგილობრივ საჭიროებებსა და სპეციფიურ ტერიტორიულ პირობებზე მორგებულ პოლიტიკას, გეგმარებით გადაწყვეტილებებსა და საინვესტიციო წინადადებებს.

**სწავლის პროცესი** გულისხმობს ურბანული ლაბორატორიის ფარგლებში ადგილობრივ რეალობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესისგან სწავლას. დამოუკიდებელი მკვლევრები - ურბანული ლაბორატორიის სადამკვირვებლო ჯგუფი, აკვირდებიან ურბანულ ლაბორატორიას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად. რეკომენდაციები წარდგება პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან და შერჩეული პუნქტები გაზიარდება UPIG-ის შეხვედრებზე.

ურბანული ლაბორატორიის მთავარი მიზანია შეიმუშავოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ქმედითი გადაწყვეტები - ახლებურად ფიქრის, ახლებურად მუშაობისა და ახლებურად ორგანიზების საკითხებზე - გადაწყვეტილებების მიმღებებისთვის.

## 3. ურბანული ლაბორატორიის სტრუქტურა, როლი, ფუნქციები, წესები და პროცედურები

### 3.1 როლი

ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელია ლაბორატორიის გამართულ ფუნქციონირებასა და მუშაობაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი არის ურბანული ლაბორატორიის თავმჯდომარე და პროცესებისა და პროექტების სტრატეგიული გადაწყვეტილების მიმღები პირი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მუნიციპალიტეტის საერთო ხედვასა და მიზნებთან შესაბამისობას. მისი არყოფნის შემთხვევაში მერის დელეგატი არის მთავარი კოორდინატორი და ხელმძღვანელობს ლაბორატორიის სხდომებს.

### 3.2 შემადგენლობა

ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფი შედგება მერის მიერ დანიშნული წარმომადგენლებისგან (მუნიციპალური სამსახურებიდან/ააიპიდან), GIZ-SUD-ის წარმომადგენელისგან და იმ ძირითადი სამოქალაქო/არასამთავრობო სექტორიდან რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია ინტეგრირებული ურბანული განვითარებისთვის:

- სალომე გუგუშვილი, SUD-ის რეგიონული მრჩეველი, ურბანული ლაბორატოორის საკოორდინაციო ჯგუფის მდივანი. პროექტის უკეთესი ხარისხის მისაღწევად, რეგიონული მრჩეველი ტექნიკური რეკომენდაციებით მხარს უჭერს ურბანულ

ლაბორატორიას და ხელს უწყობს GIZ-სა და ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფს შორის კომუნიკაციას.

### 3.3 ფუნქციები

ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფის მიზანია ინტეგრირებული და ჩართულობაზე ორიენტირებული ურბანული დაგეგმვის პროცესების სწავლა და დამკვიდრება. ჯგუფი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ფუნქციებით:

- ურბანული ლაბორატორიის საერთო სამუშაო გეგმის შედგენა და კოორდინაცია, ინფორმირება, ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა მთელი პროცესის განმავლობაში, სამეზობლო განვითარების გეგმ(ებ)ისა და შესაბამისი საინვესტიციო პროექტების შემუშავება მაგ. საპროექტო არეალების იდენტიფიცირება, საჭირო რესურსების იდენტიფიცირება, მომსახურებისა და შესყიდვების დოკუმენტების შემუშავება, საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტების რევიზია, ხარჯების გაანგარიშება, ბიუჯეტირება და ა.შ.
- პროგრესის ანგარიშების, ტექნიკური და ფინანსური ინფორმაციის, წინადადებებისა და სხვა საკორესპონდენციო ინფორმაციის შემუშავება და წარდგენა მერისთვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშესაწყობად.
- ურბანული ლაბორატორიისთვის გასაგები და ეფექტური თანამონაწილეობის პროცესის შემუშავება, რაც მოიცავს: დაინტერესებული მხარეების დაიდენტიფიცირება და ჩართვა; მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლის ფასილიტაცია; საჯარო პრეზენტაციების, ფორუმების, ღონისძიებებისა და საინფორმაციო პროგრამების ორგანიზება საზოგადოების ჩართულობისა და ურბანული ლაბორატორიის შესახებ ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად. სამუშაო ჯგუფი მოიწვევს, კოორდინაციას გაუწევს და მონაწილეობას მიიღებს შეხვედრებში მოქალაქეებთან ურბანული ლაბორატორიის საპროექტო არეალზე.
- ურბანული ლაბორატორიის სადამკვირვებლო პროცესის მხარდაჭერა და მონაწილეობა. წვლილის შეტანა პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავებაში როგორც ადგილობრივი დონისთვის, ასევე ეროვნული რეფორმების დონეზე, რომლებიც შესაბამისად განიხილება მუნიციპალიტეტში ან UPIG-ის შეხვედრებზე.

### 3.4 წესები და პროცედურები

- ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ მისი ფუნქციების შესასრულებლად, მინიმუმ თვეში ერთხელ.
- მერი ან მისი დელეგატი მოიწვევს და მოაწყობს ყველა საჭირო შეხვედრას პროექტის განმავლობაში. დღის წესრიგს მოამზადებს პროექტის საკონტაქტო პირი და

შეთანხმდება სამუშაო ჯგუფის წევრებთან. თავმჯდომარის მოთხოვნით, GIZ-ს შეუძლია შეითავსოს სამდივნო ფუნქციები.

- მუნიციპალიტეტი გამოყოფს ადგილს ურბანული ლაბორატორიის შეხვედრებისთვის. თხოვნის შემთხვევაში, GIZ-მა შესაძლოა უზრუნველყოს დახმარება.
- შეხვედრის ოქმებს წერილობითი ფორმით ადგენს რეგიონული მრჩეველი და უზიარებს წევრებს შეხვედრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმღებებს მიეცემათ 5 (ხუთი) სამუშაო დღე კომენტარების დასაბრუნებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ პასუხი არ მიიღება 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ოქმი ჩაითვლება შეთანხმებულად.
- SUD-ი გააზიარებს ურბანული ლაბორატორიის საპროექტო წინადადებებს, შეთავაზებებს, საპროექტო ჩაბარებებს, სადამკვირვებლო ჯგუფის მიერ შემუშავებულ ანგარიშებსა და საკანონმდებლო რეკომენდაციებს ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფის ყველა წევრთან. წევრებს მიეცემათ 5 (ხუთი) სამუშაო დღე რევიზიისთვის, კომპლექსური დოკუმენტის შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველზე, შეიძლება სარევიზიო პერიოდის გახანგრძლივება. თუ პასუხი არ მიიღება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ან წინასწარ შეთანხმებული ვადის განმავლობაში, დოკუმენტი ჩაითვლება ჩაბარებულად.
- ძირითადი გზავნილების კომუნიკაცია მედიასთან წინასწარ იქნება შეთანხმებული ურბანული ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფთან, მერთან და GIZ-თან.
- პროცესის გამჭვირვალობის მხარდასაჭერად, პროექტის შესახებ ინფორმაციის გაზიარება შესაძლებელია სხვადასხვა მუნიციპალური ან GIZ პლატფორმების მეშვეობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის, მუნიციპალური ვებსაიტის, ოფიციალურ სოციალურ მედიაში პოსტების, მედიაში ჩართულობის და ა.შ. სახით.